

მედი

№ 17
წელიწადი
1914

ფლიურათ 7 მანეთი
ნახევარი ფლით 4 მანეთი
თვითურათ 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მოწერისას აბაზის ფასი შეძლების ნაწილად
ნაწილად გადაიხდის ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და
ნახევარი აბაზი ნაწილად გადაიხდის წელიწადის
14 მანეთი ნაწილად გადაიხდის წელიწადის

ხუთშაბათი, 23 იანვ.
მისამართი: Кутаисский Гимназический Ул.
„მედი“
Ивановская д. Читалка.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურული გაზეთი

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ასევე მონაწილეობას მიიღებენ წევრები განსაკუთრებული პატივით.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მისს—ორი მანეთი და პირველ ეკვნიტეს—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 14 მ., 1/2 წ.—8 მ., თვითურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფროს წევრებსა—სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურად 3 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვითურათ 3 აბაზად. მისამართი რედაქციისა და კანტორის: Кутаис, редакция газ. „Меди“ ამ მისამართით უნდა გამოგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

ლეჩხუმის მხარის თ. აზნაურთა წინამძღოლი თ. იასონ გელოვანი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 24 იანვარს, დილის 10 საათზე კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდის იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის პედილის

ელისაბედ პავლეს ასულის გელოვანის
სულის მოსახსენებლად.

„მედი“
ხუთშაბათი 5, 1914 წლის 23 იანვრიდან ახალი მხატვრული პროგრამა.

I.
პატა-შურნალი.
მსოფლიო ამბების ქრონიკა

II.
ფანტომასი

4 ნაწილად, წარმოადგენს დამოუკიდებელ მთელს, თამაშითა და სიუჟეტით წინა სერიებზე უკეთესია მე-4 სერია.

კინეფონი 4 ნაწილად ცნობილ ფანტომების პიერ სივესტროსა მარსელ ალენის რომანით.

1 აქტი „მედიტაციის გაპარვა“. მე-2 აქტი „სისხლიანი კედელი“. მე-3 აქტი ფარული მსკარალი. მე-4 აქტი აბაზების ხელში

III.
ცვალებადი ბედნიერება.

კომიკური.
ადგილებს ფასი ჩვეულებრივია დას. საღამოს 5/1,
ანონსი: ორშაბათიდან აწვევენ 1 რუსული სამხატვრო სურათიდან მარტო მოზიდულთათვის

ბაიადერის თვალები.
ტრაგედია ოთხ ნაწილად.

1914 წლის 2 იანვრიდან 2 января 1914 года
ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის ქუჩაზე Кутаис на Гимназической ул.
სახლში, ბულვარის პირდაპირ გაიხსნა в д. Киракозова и Оганова открыта

კანტორა **КОНТОРА**
ნოტარიუსი ვ. პ. კოჩევა. НОТАРИУС В. П. КОЧЕВА.

18 დეკემბრიდან
დაიფუო ხელის მოწერა

თა ეკლადის (ა. ცანცაძის) მოთხოვნათა მეორე ტომის გამოსაცემად წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს ღირსი ღირსი ექვნიტე ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ზედმდევანობით სუფთად და ლამაზად.

ხელის მოწერა მიიღება ბანკ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მოწერათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდგენის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ზოგადიანისა.

გამომცემელი აბ. ცინცაძე.

მალაქის თეატრი.
მისკოვის კარმის თეატრის მხატვრული მხარე.
ვიკტორ რაქაშვილის
გასტროლები
ხუთშაბათს, 23 იანვარს, წამოდგენილ იქნება

I.
ახალი სენსაციური პიესა
„მედი“
გ. გ. რაქაშვილის თხზულება.
II.
„ქაჯი“ (ВБСН)
გ. გ. რაქაშვილის 3 მოქმედი პიესა.

ადგილების ფასი 3 მ. 2 მ. 2 აბაზად, ლოქები 10 მან. დასაწყისი 8/1, საათ, საღამოს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

ქუთაისი.
თ. მთავრიშვილის და ანს.
წიგნისა და საგანცულოარი ნივთების მაღაზიაში

იყილება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდამ მოსდის ახალი-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუწყებდაც აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ენაზე ნაღ-გაზეთზე.

ქუთაისი.
პირველი კერძო სამკურნალო
სპეციალისტი აქიმები.
მუდმივ საწოლებით თ. ა. რევაიანის სახლი თეატრის მოედანზე.
ავთანუფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

გ. ა. ანანია—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქორტაგული.	1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის.	10—12
ა. ა. რევაიანი—ღრმადი, ქალთა, საბავშვო.	11—12
მ. დ. ბუთაშვილი—ქანის, ათაშენი, ვენერ.	12—2
გ. ა. ჭაღალაძე—საბავშვო, ქალთა და შინაგ.	12 1/2

საღამოს.

გ. დ. ქორტაგული—თვალის	4 1/2—5 1/2
გ. ა. ჭაღალაძე—საბავშვო, ქალთა და შინაგ.	5 1/2—6 1/2

სამკურნალოსთან მოწყობილია სააქ.—საანაოზო კაბინეტა: სისხლის, შარბის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლად. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტაციურად. არის ცალკე ოთახები მძიმე ავთანუფებისა და შშობიარეთათვის. რევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მოკრები. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტად. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53
სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭაღალაძე.

ქ. ქუთაისში
გაჭრება-რეწელობის სამინისტროს უწყებაში მუშაი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწოდებით, ანუ შესაფერ გამოკაცა შეპუჯ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ით თვინია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები შეიღება ყოველდღე კუ-სების კანცელარიაში.

აქიმი გ. თ. ტყეშელაშვილი.
ღებულობს ავთანუფებს
შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუ-შინისკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარქოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავთანუფებს მხოლოდ დღით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავთანუფო-შია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალკოვის სახლში. თ.

ახალი ამბავი.
სამშაბათს, 20 იანვარს, ფოთის ქალაქის საბჭოს სხდომაზე დაუგერებელი ამბავი მომხდარა. საბჭოს სხდომა ქონია სხვადასხვა მიმდინარე საკითხის განსახილველად. სხვათა შორის, ელევატორის შესახებაც უნდაცდებარაყათ. მკითხველმა იცის, თუ როგორ გაამწვავა ფოთის ხმოსანთა შორის დამოკიდებულება ამ საკითხზე: არა მარტო ხმოსნები, თვით მსტოვებთა ერთი ნაწილიც კი მეორეს გადავიდა. სწორედ ეს საკითხი უნდა გაერჩიათ სხდომაზე. საქმე ნორმალურად მიდიოდა, სანამ სხვა საკითხებზე აუო მსჯელობა, მაგრამ როგორც კი ჯერი ელევატორზე მიდგა, ისე გამოვლინდა თავგანთავრე კოჭუ წამოდგა და ხმოსნებს ამაღელვებელის სიტყვით გამოართა. მან დაუწყო ლანძღვა-გინება ხმოსანთ ესაკისა და განაცხადა, რომ ესაკია იმართმ არის ახალი ელევატორის დადგმის წინააღმდეგი, რომ ეს პროექტი ნიკოლაძემ შემოიტანა, ის კი ნიკოლაძის მტერი და არაფერს ზოგავს, რომ ფოთიდან გააძევოსო. მას თვით სურს ფოთის ქალაქის თვითმართა და სხვა, პ. ნიკოლაძის პროექტის მომხრეხმოსნების

თვის ქოქუას სიტყვა თურმე სიგნალი იყო. ისინი სწრაფად წამოიჭრნენ ადგილიდან და ეცნენ ესაკიასა და ნიკოლაძის პროექტის მოწინააღმდეგე ხმოსნებს. გაიმართა ხელჩართული ომი, ისტყდა საშინელი ჟურ-ზაური, არავინ გაჩნდა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკები ერთმანეთისაგან დაეშორებია. თვით თავგანთავრე საბჭოს შუაგულ ჩხუბში იყო ვინ იცის, რითი გათავდება საქმე, რომ პოლიციისკერს არ მოესწრო, ვილაცამ აუო-ზაურში მოგვებითა გამოვხმო პოლიცია. მოვიდა პოლიციისკერტი სამხედრო რაზმით და მახუზარნი გარეკა. ასე დამთავრდა ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საშვილიშველო ომიო.

◆ შარშანდღი მოუხველობის გამო კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სხვადასხვა გუბერნიის საგუბერნიო მართველობებს წინადადება მისცა გადასახადების ძალით აკრეფა შეიჭროს.

◆ 25 იანვარს ბაქოში ი. სარაჯიშვილის მონაწილეობით გაიმართება ტრადიციული ქართული საღამო წ. კ. საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ.

◆ კავკასიის მეფის მოადგილემ ნება დართო სომხებს 1 ნოემბრამდე შეკრიბოს სომხთა შორის ორასი ათასი მანეთი ერევანის სემინარიის სასარგებლოდ მისი არსებობიდან 75 წლის შესრულების გამო აღესაწაულის გასამართავით.

◆ 15 იანვარს ფოთში გაფიცულა რუსეთის სავაჭრო და სანაოსნო საზოგადოების შტვირთავი მუშები. გაფიცულებს მოუთხოვიათ სამუშაო ფასის გაღიდება.

◆ რედაქციამ მიიღო თურნალი „განათლების პირველი ნუმერი, რომელიშიც მოთავსებულია ბევრი საყურადღებო წერილი.

◆ წ. კ. საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ დაადგინა—მიიღოს კ. ყიფიანის იუბილეში მონაწილეობა და იუბილეს დღეს გაგზავნოს თფილისს ბათუმელი ქართველების სახელით დღეგატი, გადასწყვიტეს, რომ იუბილეარს სარქუარი მიართვან.

◆ ჩრდილოეთ კავკასიის მეკიდრმა აბღლთაჯიდ ჩერმოვემა, რომელმაც გელოვანებისაგან „ლაფურის“ მამული იყიდა, აცნობა თავ. იას. გელოვანს, რომ იგი ლაილაში ცეცხლ-საგან დაზარალებულ და „ლაფურის“ ახლო მდებარე სოფლებში დამშუულთ ორ ვაგონ სიმის სწირავს.

◆ 21 იანვრისათვის დანაშნული ქალაქის საფთაიქო კომისიის სხდომა წევრთა საგმო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

◆ ქალაქის გამგებამ უკვე მიიღო წინადადება ნ. ნიკოლაძისაგან ქალაქის მუნიციპალური საქმების მოწყობის შესახებ, ამ წინადადების განსახილველად გუშინ სხდომა იყო ქალაქის საბჭოში.

◆ ბაზრის ზედამხედველმა კორძიამ და სანიტარმა ჩაინიძემ, მიხეილის ქუჩაზე რეინაშვილსა და ხახანაშვილს, ქვაფენილის გაბინძურების გამო, ოქმი შეუდგინა.

◆ სოფელ კინჩხიდან გვერენ: 12 იანვარს კ. ჩარქიანმა ს. გულენიძე და მისი ცოლი დანით დასჭრაო. დაჭრილი სოლომონ გულენიძე 65 წლის კაცი უკვე გადაცვლილა. მეკვლეო ჩარქიანი იხმობოქა წლისაჲ, იგი დაატუსაღეს.

◆ შავიქვის საბჭოს ბუღალტრის მეორე თანაშემწეთ დანიშნა პლ. ლეივა.

◆ შორაპნის მხარის უფროსის თანაშემწეთ პეტრე ჩაჩავა დანიშნა.

წმინდა ნინოს დღესასწაული მოსკოვში და ა. სუბბათბეკილი.
(როგორც თფილისის გაზეთები იუწყებიან მოსკოვის ქართველობას 14 იანვარი დღი. ამბით უდღესა წაუღებია. ამ

დ ღ ი უ რ ი

დღის დღესასწაულში სხვათაშორის მო-
წაწილება მიუღია ალ. სუბაშაშვილ-
საც. სუბაშაშვილის სიტყვა უთქვამს.
სიტყვას „ზაქ. რეის“ კორესპონდენტი
ასე გადმოგვცემს: სუბაშაშვილმა მიმარ-
თა ახალგაზღვრებს და მოუწოდა „მამებსა“
და „შვილებს“ კულტურულ ნიადაგზე
გაერთიანება, მაგრამ როდესაც ვუპასუ-
ხეთ ჩვენ და აღვნიშნეთ რომ ხალხებს
განსაზღვრულ დროს უნდა ახსოვდეს
არა მარტო საერთო კულტურული მუ-
შაობა, არამედ ეროვნულიც, ურომლი-
სათაც პატარა ხალხი გაითქვამდა ძლი-
ერ მესობელში, აღვნიშნეთ მეტათ სა-
გულისხმო შემთხვევა წმინდა ნინოს
დღესასწაულისა და ფხტეს დაბადები-
დან ასი წლის შესრულების დღესასწაუ-
ლი, რომლის ცეცხლ მტკიცეველმა სიტყ-
ვებმა გერმანიის ერისმიმართ გერმანიის
საზოგადოებას მისცა თვითდამყარების,
გათავისუფლებისა და თვითგანვითარების
აზრი, ამაზე სუბაშაშვილმა მხურვალე
სიტყვით გვიპასუხა, რომლის ზოგიერთი ად-
გილიც ისეთი მხატვრული იყო, რომ
მისი ლაღატის ფურცლებს გავგა-
ნებდა: მე მშაშ ნაციონალური პრინცი-
პი, მაგრამ მას ვუმოპირიღებ საკაცობრიო
პრინციპს. ჩემთვის წმინდათა წმინდა
ყოველი პიროვნება, რომელიც თვით-
გამორკვევას ცდილობს ყოველ ადამიანს
აქვს უფლება ამა თუ იმ ჯგუფს მკუთ-
ნოდეს. ნაციონალური პრინციპის პრი-
ორიტეტს არ ვაღიარებ, ვინაიდან ეს
გამოიწვევს ერთი ერის მეორე უფრო
სუსტ ერზე გაბატონებას. კერძოთ ხე-
ლოვნება საყოცობრიოა, მას არ აქვს
ეროვნული საზღვარი. ამ აზრს დაუდებ
ერთ-ერთ დრამას საფუძვლად, რომელ-
ზეც ახლა ვმუშაობ. სიტყვა უთქვამს ქს-
ს. თარბან-მოურავისას. სახალხო გაზეთის
ამ სიტყვის შინაარსს ასე სწერენ: „მშაშ
როდესაც ჩვენ აქ ვმხიარულობთ და დროს
ვატარებთ, ჩვენს სამშობლოში სულ სხვა
ამბები ხდება, იქ იყიდება სახლი იმ დიდ
ბუნებოვან ადამიანისა, რომლის სახელი-
თაც ვამაყობთ, იყიდება ის სახლი რომ-
ელშიც ილია ფეკრბადა და აზროვნებ-
და, არა, ქართველობა ამას არ იზამს, რომ
ილიას სახლი საჯაროთ გაიყიდოს, ჩვენც

ჩვენი წვლილი გამოვიღოთ და შევეუ-
რეთ მთელ ქართველობას ილიას სახლის
გამოსასყიდათ“.

ა ქ ი ქ ა უ რ ი.

რა თქმა უნდა—იმის საწინააღმდეგო
რა გვექნება, რომ ახალგაზღვრებს ახალ-
გაზღვრი სული ედგას... ცელქობდეს,
მხიარულობდეს, დროზე შნათი ქვიშო-
ბდეს და თუნდაც „მშაშაობდეს“ კიდევაც.
ყრმას სიცოცხლე უნდა ვმჩინოდეს, სანამ
დრო აქვს... დადგება ხანი სიღნაგისა
და ყურების ჩამოყრა მაშინაც ეყო-
ფა...
მაგრამ...
ყველაფერს საზღვარი გაჩნია, და მი-
ჯნა უნდა, დრო და აღვილი.
მიუტეველია, შეუფერებელია ის,
რაც ყოველს ქართულ წარმოდგენაზე
თეატრში ხდება დღეს.
და სამწუხაროა, რომ ამ შეუფერებ-
ლობას მოსწავლე ახალგაზღვრები ჩაღიან...
ყვირილი, ღრიანცალი, უდროო დროს
ხარხარი, უწმინდური სიტყვების წამო-
სროლა...
მეტი პატივისცემა თავის თავისა და
სხვისიც...
დ.

მომავალი წელის არხი.

საფლავს ურდობა ქვეყანაში:
19 იანვარს სოფელ ქვეტორში ყრი-
ლობა იყო დანიშნული. აქ უნდა გადა-
წყვეტილიყო სარწყვი არხის გამოყვანის
საკითხი, მაღლაკისა და ფარცხანაყანის
საზოგადოებამ დიდი შეგნება გამოიჩინეს
ყრილობაზე ერთხმით დაადგინეს შეუდ-
გენ ამ ფრად სასარგებლო საქმის გან-
ხორციელებას. საქმის მეთაურთ ეგონათ
ქვეტორიც ასე მოეცემა, მაგრამ,
სამწუხაროთ, მათი მოლოდინი არ გა-
მართლდა. —ყრილობისდროს გამოირკვა,
რომ ქვეტორის საზოგადოება ორ მოწი-
ნადმდევე ჯგუფათ იყო გაყოფილი. ერ-

თი ჯგუფი ხუთი-ექვსი კაცის მეთა-
ურობით ყოველივე განმარტების გარეშე
გაიძაბოდა: არ გვინდა წყალი, მაგ ჩვენ
არაფერს არ შეგვმატებს, ხარჯს კი
ბევრს დაგვადებს, საუკუნოთ დაგვაგა-
ლიანებს. მეორე იმასდა: ჩვენი უწყუ-
ლოთ ცხოვრება აღარ შეიძლება
და, თუ კი ვინმე მადლიანი მო-
გვხვდება და გაგვიძვება, მშაშა ვართ
ყოველივე ვიკისრით, რაც კი შეგვი-
ძლიაო. —პირველი ჯგუფის უმრავლეს-
სობას შეადგენენ ზემო და შუა ქვეტორის
მცხოვრებნი, მეორე კი ქვემო ქვეტი-
რის მცხოვრებნი იყვნენ, რომლებიც
დიდი უპაყოფილებას გამოსთქვამდნენ პირ-
ველების მიმართ. დიდი კამათისა და
ყაყამის შემდეგ, ქვემო ქვეტორლებმა
მოსთხოვეს ზემო და შუა ქვეტორებს—
გასცლილდნენ ყრილობას, მათ შემოეშა-
ვეს განაჩენი და ერთხმით დაადგინეს:
მიგედლონ მაღლაკისა და ფარცხანაყა-
ნებს და მათთან ერთად მათი არხიდან
გამოიყვანონ სარწყავი წყალი.
შემდეგ ბევრი ზემო და შუა ქვეტი-
რისაში მიდიოდა განაჩენაზე ხელის
მოწერის დროს და იხვეწებოდა: მო-
გვწერიეთ ხელი და მიგვიღეთ ჩვენი
ამხანაგათა, „იქნებ ზოგიერთი ჩემი მე-
ზობელი გიყ იყოს, ამბობდა ერთი მათ-
განი, თავის სახლს ცეცხლი წაუქრდა,
ჩვენ რისთვის ინდა დავისაჯოთაო. —მაგ-
რამ, სამწუხაროთ, ტახტიკურათ შეუძლე-
ბელია ზემო და შუა ქვეტორის მცხოვ-
რებლებმა იმ არხით ისარგებლონ, რომ-
ელიც მასცემს წყალს მაღლაკისა და
ფარცხანაყანისგან, რამდენიმე ათეული პი-
რისთვის ცალკე არხის გაყვანა კი ნივ-
თიერთ შეუძლებელია და უანგარაო-
ბაც. ამ გვართ, ზემო და შუა ქვეტი-
რის მცხოვრებლებმა ცხრამეტ იანვრის
ყრილობაზე ისეთი მომადგინებელი ცო-
დვა ჩაიდინეს, რომლისთვისაც (თუ არ
გვასწორებს მღვდ მომავალში ეს შეცდო-
მა) შთამომავლობა წყველა კრულვას
შეუთვლის და ცუდათ მოიგონებს მათ.
თუმცე აქ რამდენიმე ვიგებარნი ყოფი-
ლა რომლის მიწებსაც: საშხრეთით პატარა
რიონის შტო ჩაუდის და ავით თუ კარ-
გათ რწყავს ამ მიწებს. აი, ამ „კეთილ“

რუსეთის ელჩმა ბულგარეთის მეფეს
რწმუნების ქალაქი წარუდგინა და მო-
ახსენა, რომ რუსეთი და მისი მონარქი
იზრუნებს ბულგარეთის ერის კეთილ-
დღეობისათვის.
— იაზონიის საზღვაო უწყებაში ბო-
როტოქმედება აღმოაჩინეს.
პეკინიდან მოწერილობის თანახმად
მანჯურიის მონარქიული პროპაგანდის
წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერეს.
— ბელგიაში საქალაქო არჩევნებში
მთავრობის პარტიამ გაიმარჯვა.

— ლოგოში რუსეთის ელჩმა წარუდგინა
ცოი გამოცხადება მანჯურიის მონარქის
დებენ უკრანეთის საზღვრების დაცვის
ნებების წადილისთვის.
— სათათფროში მთავრობას შეაქვს
საყურადღებო კანონპროექტი შეიარაღე-
ბის გაძლიერების შესახებ.
— „კიევიენინის“ რედაქტორის შუი-
გინის საქმის გარჩევა დაიწყო.
— საბერძნეთის მთავარი მინისტრი
ვენეზილოს პეტროპურას ჩავიდა.

პუბლიცისტური
ესკიზები.

საზოგადოებრივი თვითმოქმედება.
(დასასრულია. იხ. „გრა“ № 15-16).
რასაც რუსეთში წმინდა ეკონომიური
ბრძოლის სარბიელზე მუშები განიცდიან
ჩვენს დროში სწორეთ სამაგალითო, და-
უჯერებელია, ის პარობები, ის შეზღუდუ-
ბნი, რომელთაც მთავრობა მუშათა პრო-
ფესიონალურ მოძრაობას უყენებს, და-
სავლეთი ევროპის არცერთმა სახელმწი-
ფომ არ იცის. კანტროლი მთავრობისა
ისე შორს მიდის, რომ იგი სრული
ეკრძალვის სახეს ღებულობს პროფესიო-
ნალურ კავშირთა დაარსების საქმეში.
1906 წლის 4 მარტის კანონები საზო-
გადოებებსა და კავშირებზე, მრავალნა-
ირი განმარტებითა და შეზღუდვებითა წყა-
ლობათ, ისეთნაირათ დაამახინჯეს, რომ
ამ კანონებიდან არსებითად თითქმის
არა დარჩა, ნამეტურ მოხვდა, როგორც
ესთქვით, პროფესიონალურ კავშირებს.
მეტათ თვალსაჩინო შევიწროებდას ამ კავ-
შირებისა ჩვენ ვხედავთ პეტერბურგში.
საზოგადოებათა და კავშირების იქაურმა
საკრებულომ რა საზღვრები არ დაუდგა
პროფესიონალურ კავშირებს, რომ სენი
ფაქტიურათ მოესპო. საკრებულოს და-
დგენილებით, ამ კავშირებს ეკრძალებათ:
1) საზოგადოების წევრთა გონებრივისა
და წვობრივი განვითარებისთვის ხელის
შეწყობა; 2) საერთო ბინების მოწყობა
უსაქმოდ დარჩენილი მუშებისთვისა და
მოსულთათვის; 3) ჩაის სასმელთა, სასა-
დილოთა და სხვა ამის მზავის დაწესებულე-
ბათა დაარსება, რომელნიც წევრთა მა-
ტერიალური მდგომარეობის გაუმჯობე-
სებას ხელს უწყობენ; 4) საღამოების,
ექსკურსიების, საუბრების გამართვა; 5)
ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა;
6) იურიდიული დახმარების ბიუროს
დაარსება; 7) საექიმო შემწეობისათვის
გამგის ყოლა; 8) ცნობათა მიმცემი ბი-
უროს მოწყობა უსაქმოდ დარჩენილთა-
თვის; 9) გარეშე პირთა მოწვევა დახმა-
რებისათვის; 10) სამაქრო სექციის გახსნა
ანუ რწმუნებულთა ინსტიტუტი; 11)
წევრებთა ჩარიცხა უსაქმოდ დარჩენილ-
თა; 12) მათვის შემწეობის აღმოჩენა;

13) საწერო წლიური ფულის გადახდა
ნაწილ-ნაწილ; 14) სამედიკატო სასა-
მართლოთა დაწესება; 15) ურიგო საქ-
ციელისათვის წევრთა გამოცემა; 16)
ქარხნებში რწმუნებულთა ყოლა საწერ-
ო გადასახადის შესაკრებად; 17) საზო-
გადოების ქონების გადაცემა მზავის ორ-
განიზაციაზე, ამ შემთხვევაში, თუ საზო-
გადოებას დასურვენი და სხვ. *)
განა ამაზე შორს წასვლა შეიძლება
შეზღუდვის გარეშე? განა ყველა ეს შე-
ზღუდვა პროფესიონალური ორგანიზა-
ციების ფაქტიურ მოსპობას არ ნიშნავს?
კაპიტალისტური დასავლეთი განა მუ-
შებს არ ებრძვის, მაგრამ მისი ბრძოლა
არსად, არცერთ სახელმწიფოში სულის
ამორთმევამდე არ მიდის, არსად მუშათა
თვითმოქმედებას ისეთი გადუღავლი ზღუ-
დებით არ აქვს ამართული, როგორც
ამას რუსეთში ვხედავთ. იქ მუშების
ზრუნვას ნივთიერ გაუმჯობესებაზე თუ
თვითშეგნების განვითარებაზე წინ არა-
ფერი უდგია, აქ კი მუშებისათვის ყო-
ველივე ისეა მოწყობილი, რომ ვერც
ერთს ეწიოს და ვერც მეორეს. იქ ყო-
ველ ახალ საზოგადოებას, ხალხის გან-
ვითარებისადმი მიმართულს, მთავრობის
ფგენტები სისხრულით ეგდებოდა, აქ კი
პირველ მარჯვე შემთხვევას ეძებენ, რომ
ასეთ საზოგადოებას სიცოცხლე მოუს-
პონ, კრამოლასთან ბრძოლის საბაზის
ქვეშ.
ვინაიდან ასეთ სულის შემშუთველ
პირობებში ყოფნა ხანგრძლივ ერთობ
ძნელია, აუტანელია, ამიტომ შეგნებუ-
ლი საზოგადოება რაღაც გამოსავალს
ეძებს თავის ასეთი ძნელ მდგომარეობი-
დან. ერთგან რომ ვერა რა გააწყუ-
რ, საზოგადოებრივმა ინიციატივამ მეორეს
ჩასქიდა ხელი, მეორე რომ ჩაუშალეს,
იგი მესამეს ეცა და ასე, ამგვარათ, ავით
თუ კარგათ, თავის მიზანს საზოგადოება
ოღანვე მაინც ემსახურება. თვით მუშებს
თუ განების განვითარების საქმე დაუ-
შალეს, ნაცვლად გაჩნდა სახალხო უნი-
ვერსიტეტები, საღამოს კურსები, სა-
ხალხო კითხვები, წარმოდგენები და
სხვა კულტურული გასართობები და სხვ.
და სხვ., რომელნიც ამავე მუშებს, იმავე
*) ახ. ჟურნალი „Очерк. записка“,
1913 წ., მასი—ფანისა, გვ. 298.

ხალხს სხვა გზით აწოდებენ სულიერ
საზრდას.
საზოგადოებრივ თვითმოქმედების მრ-
ვალი სახის შორის კულტურულ-განმა-
ნათლებელი დაწესებულებანი ხომ ერთი
ფორმას აი აქ ამ დაწესებულებათა მი-
მართ სახელმწიფოს ხელმძღვანელო, დი-
დი თუ პატარა მოხელენი, არა ნაკლებ
„გულმოდინების“ და „მზრუნველობის“
იჩენენ, ვიდრე მუშათა საკითხში. ბევრ-
ჯერ ამ კატეგორიის საზოგადოებას სა-
პოლიტიკო და სახელმწიფო მნიშვნელო-
ბის არაფერი გაჩნია, მაგრამ შეგნებუ-
ლი მთავრობა აქაც ერევა ყოველ ნა-
ბიჯზე, აქაც ებრძვის არ არსებულ მრი-
სანე მოჩვენებებს. დიდი შიში აქვს ამ-
გვარი საზოგადოებების მხრით ნამეტურ
განაპირა ქვეყნებში, სადაც არა-რუსთა
ერთგულებას იგი ექვის თვალთი უქტე-
რის. და რომ მეტი ერთგულება და სო-
ციალური მოიპოვოს, მთავრობა აქ სწო-
რეთ ისე მოქმედებს, რაც ამ ერთგულებას,
პირიქით, ასუსტებს: რაც ძალი და ღონე,
აქვს იგი ყოველ ზომას ხმარებს, რომ
ნაციონალური კულტურულ-განმანათლე-
ბელი ორგანიზაციები ყოველი მხრით
შეგროვოს, რათა მათ არავითარი გასა-
ქანი არა ქონდესთ.
საილუსტრაციით ავიღოთ თუნდ ჩვე-
ნი წერაკითხვის გამავრცელებელი საზო-
გადოება. ეს უკანასკნელი მუდამ იმის
შიშშია, რომ ვაი თუ, მთავრობამ ამა
თუ იმ უბრალო საბაზით, ერთს მშვენიერ
დღეს მთელი ქონება ჩამოპართავს და
კარი მიმიჭროსო. შემწირ-ელიც
შეწირულობის მიმდებარე საგონებელში
არაინა: პირველი დარწმუნებული არ არის,
რომ მის მიერ შეწირულს სხვა გერას-
დროს ხელს ვერ ახლებს, ხოლო მეორეს
მუდამ ის აწუხებს, რომ ვაი თუ შემო-
სული თანხების დანიშნულისაზე მოხმა-
რება ვერ მოგასწროა ან მათი სხვა მზავის
ქართულ ორგანიზაციაზე გადაცემა.
წერაკითხვის საზოგადოება ფართო მო-
ქმედებას განხრახ ერიდება იმ მოსაზრე-
ბით, რომ ვაი თუ გაღონიერებულმა,
გავლენიანმა საზოგადოებამ ჩვენი
უფროსების რისხვა გამოაწვიოს და ამი-
ტომ სულ არაობას სჯობს ისევ ცოტა რამ
მაინც შევიჩინოთო. წერაკითხვის საზოგა-
დოებას საწერო გადასახადის შემცირება

ვარ მოუხერხებია, იმ მიზეზისა გამო, რომ
მთავრობა, რომელიც ასეთ საზოგადოება-
თა დემოკრატიზაციას ერთობ უჭრთხის,
ამის წინააღმდეგია. წერაკითხვის საზო-
გადოება სულ უბრალოა, ჩვეულებრივ
საშველავებს ნივთიერთ გაძლიერებისას
მოკლებულია: მას ნება არ აქვს საერთო
დღესასწაულები, აი თუნდ „თეთრი ყა-
ვილის“ მზავის, გამართოს; მას ალფერის
გამართვას უკრძალებს; მას უფლება არ
აქვს ფულის შესაკრფეთ საყოველთაო
ხელის მოწვერა გამართოს და სხ. დასხვა.
განა ასეთი ყოველ ნორმალურია? არის
სადმე კეთილწყობილ ქვეყნებში ასეთი
დამოკიდებულება კულტურულ-განმანათ-
ლებელ დაწესებულებებისად იქ სახელ-
მწიფო უფლებას საკანტროლო ფუნქცი-
ები ამ ზომამდე მიდის სადმე?
რა თქმა უნდა, დიდი ბრალი ჩვენცა
გვდევს ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებუ-
ლებათა სუსტმოღვაწეობა-შედევებში
მაგრამ გარემოცული პოლიტიკური ატ-
მოსფერა, ის გარეშე პირობები, ის, ასე
ესთქვით პოლიტიკური ყოფაქცევა, რომ-
ელსაც სახელმწიფოს მმართველნი მის-
დევნენ ამა თუ იმ ერის მიმართ, ისეთი
დიდი და მნიშვნელოვანი ფაქტორია,
რომ ხალხის სუე ბედი, ქვეყნის კულ-
ტურულით თუ ეკონ-მოიერათ განვითა-
რების საქმე, საზოგადოებრივ ელემენტე-
ბის თვითმოქმედების ნაყოფიერება პირ-
ველ ყოვლისა და უადრესათ ამ ფაქტორ-
თან არის დაკავშირებული. ამიტომა,
თუ ცუდია, მაგნა ეს ყოფაქცევა, სუს-
ტია და უნაყოფო საზოგადოებრივი სა-
ქმიანობა, მაშალა საზოგადოებრივობა.
ვიდრე ცხოვრება რთული არ არის,
ვიდრე ხალხი ეკონომიური ევალუაციის
დაბალ საფეხრზეა, მთავრობა, ასე თუ
ისე, კიდევ ახერხებს საზოგადოებაზე გა-
ბატონებას და თავის უზიარტესობათა
შენარჩუნებას, ასე თუ ისე, უძღვება თა-
ვისა და საზოგადოების საქმეებს. საზოგა-
დოებისადმი უნდაზობა და უკუყა-
რულებას არ იწვევს. საზოგადოება ასეთ
ყოფაში ზოგჯერ ვერც კი გრმნობს უფ-
ლებათა უქონლობას, თავის დამცირებას.
ლაღობას დაჩვეულო, მუდამ აპეკას ქვეშ
მყოფი ზოგჯერ იგი იმასაც კი ფეკრობს,
რომ მის ადგილობრივ საქმეებს, შორი-
დან, სახელმწიფოს ცენტრიდან სხვა უფ-

რო კარგათ აწარმოებს, ვიდრე თვით
იგი, წინააღმდეგ ხალხური სიბრძნისა,
რომელიც ამბობს, რომ ადგილობრივ
ყურადღოს ადგილობრივი მწვეარი დაი-
ქვროსო.
მაგრამ რთულდება თუ არა ცხოვრე-
ბა, ჩნდებიან თუ არა ახალი მოთხოვნილე-
ბანი, ხდება თუ არა საზოგადოების კლა-
სიური თუ პოლიტიკური დიფერენციაკია,
იწყება მოძველებული სახელმწიფო ფორმა-
ბის დამცველთა სულთა ბრძოლა: ისინი მე-
ტათ ვერახერხებენ ყოველივეს მოუარონ,
ყოველივე თვით განაგონ. იწყება იქით-
ათი რყევა, ხან დამთობა, ხან ძველი ნაცა-
ლი გზა, ხან ცოტადენი თავისუფლება,
ხან ისევ პირიქით, რეგრესიები. ვიდრე
შესაძლებელია, სულთ მებრძოლნი თავს
იცივენ ყოველნაირათ. ბოლოს და ბო-
ლოს კი მაინც ახალი ძვლის სჯობის—სას-
ტაკი ბრძოლა იმით თავდება, რომ პირ-
ველი მეორეს იმორჩილებს ან ნებით ან
ძალით. რაც დროზე გადასულია, იმის
დაცვა თუ დაბრუნება აგრეთვე შეუძლე-
ბელია, როგორც შეუძლებელია ერთი
ასაკი შეინარჩუნოს ადამიანმა. ის სახელ-
მწიფო მოღვაწე, რომელსაც ეს საანბანი
ქეშმარილტება პოლემიკურა სიბრძნისა
ვერ შეუღნია, რომელსაც ახალის აღლო
გერ აუღნია, ის ქვეყნისა და ხალხის მო-
კეთე არ არის: იგი სახელმწიფოს საზა-
რელ კატასტროფის უშაღებს. მკვიდრი
არ არის, მოჩვენებითი ის სახელმწიფო
ძლიერება, რომელიც საზოგადოების უძ-
ლურებაზეა აგებული. დიდათ სახიფათოა
ის პოლიტიკა, რომელიც საზოგადოებას
ებრძვის, მის ძალებს ასუსტებს, პოლი-
ტიკა, რომელიც მის თანამშრომლობას
სახელმწიფოსთან ერთად უკუ აგდებს.
გა. გველესიანი.
აფხაზეთის მთავარი
მილიზ-ბაი შაჰვაშიძე,
(ისტორიული ამბავი).
გაგძელება, იხ. „გრა“-ს 13-16
უწარჩინებულთა ქალაქებთა ამ დროს
თიფლებოდა: იმერეთში ქუთაისი, აფხა-
ზეთში ნიკოფსია (ანუ დღევანდელი სო-
ხუმი).
დავით აღმაშენებლის გამეფებამდე
ქართლი თავის დედ. ქალაქ თფილისით
არაბების ხელში იყო.

ამ ფასით საქონელს ჩავაბარებთ მუ-
დველთ ბათუმში. ბათუმიდან შეგვიძლია
საქონელი გავუგზავნოთ მუდველთ მათი
ხარჯით, სადაც კი მოისურვებენ. გოგირ-
დი ჩაყრილი იქნება ორმაგ მაგარ ტომ-
არებში; თითო ტომარა შეიცავს ექვს
თუთს. ჩვენ სრულიად დარწმუნებული
ვართ, რომ ასეთი საუკეთესო ღირსების
საქონლის ჩაბარებას მუდველთათვის ამ
ფასით ვერც ერთი სხვა ფირმა ვერ შე-
ძლებს.

ვინაიდან გოგირდის ეპიკრობაში ჩვენ-
ში დიდი სიყალბეა გამოყვანილი, ამიტომ
ტომარებზე დაბეჭდილი იქნება ჩვენი
ფირმის სავაჭრო დანი, როგორც იგივე
მოთ არის დაბეჭდილი.

დ. ლაშაშვიდი და ა. მ. ს.
„გ ა ზ ი“
ლონდონი.

ყოველ ტომარზე იქნება ეს დანი და
გარდა ამისა ასობა A, B, C, D, იმის-
დამხედველთ, თუ რომელი ხარისხის გო-
გირდია ტომარაში.

მსურველთ საქონლის დაკვეთა შემდეგ
ადგილებში შეუძლიათ:

1. შენახველ-გამსახვებელი ამხანა-
გობა—თელავში.

2. ქართული სამეურნეო საზოგადო-
ება—თფილისში.

3. საქრედიტო ამხანაგობა და ბ. ნ. ი.
გუნცაძე—თბილისში.

4. „სასოფლო გაზეთის“ რედაქცია—
ქუთაისში.

5. საერთოერთო ნდობის ბანკი—ბა-
თუმში.

ამავე ადგილებში მუდველთ შეუძლია
თუ შეამოწმონ ჩვენ მიერ გამოგზავნილი
გოგირდის ნიმუშები. რასაკვირველია, ამ
საქონლის გამოყვანა შეიძლება პირდა-
პირ ჩვენი ფირმიდანაც, ლონდონიდან.

მუდველთ საქონელი ჩაბარდება და
კვეთის შემდეგ თორმეტ დღეში. სასურ-
ველია, რომ მათ ახლავე გაცნობონ
მათთვის საჭირო გოგირდის რაოდენო-
ბა, თუშეა საქონლის დაკვეთა 1 მაი-
სამდე შეიძლება.

საქონელი მათ არის გამოსაგზავნათ
პირდაპირ სიცილიიდან (იტალია).

იმედი გვაქვს, რომ ჩვენებური შეგნა-
ხენი და მელვინენი შეგნებენ, თუ რამ-
დენათ სისარგებლოა მათთვის საქონ-
ლის პირდაპირ მწარმოებელთაგან მიღე-
ბა, და ამრიგათ შეგნაზრუნებენ იმ უზო-
მო ფულს, რა ფულსც დღეს დიდ ვა-
ჭარამოვანებთან ხელთ გადადის.

პატივისცემით დავით ლაშაშვიდი და ა. მ.
წერილების მისამართი: D. GHAMBA-
SHIDZE & Co.

61, MARK LAHE, LOHDOH, E. C.
დემენის მისამართი: LIVIUS LOHDOH
(მხოლოდ ეს 2 სიტყვა).

დაბა-სოფელი

სოფ. ქედი (ზემო იმერეთი). წელს,
სამოსწავლო წლის დასაწყისში ჩვენს
სოფელში აქაურმა და დღეს კი ბაქოში
მცხოვრებმა გოგორც თვალაქაშე თვისი
ხარჯით სასარგებლოდ მათთვის საქონ-
ლის პირდაპირ მწარმოებელთაგან მიღე-
ბა, და ამრიგათ შეგნაზრუნებენ იმ უზო-
მო ფულს, რა ფულსც დღეს დიდ ვა-
ჭარამოვანებთან ხელთ გადადის.

პატივისცემით დავით ლაშაშვიდი და ა. მ.
წერილების მისამართი: D. GHAMBA-
SHIDZE & Co.

თვალაქაშის მეოხებით ბევრს უსაქმო კაცს
საქმე გაუჩნდა და შრომის ხელი მაყუეს
ბ. ნ. ი. გოგორც თვალაქაშის ამ ქაშათ მო-
ლაპარაკება აქვს მცოდნესა და გავ-
ლენიან პირებთან, რომ ჩვენს მაყრუ-
ებულ ქვეყანას რიგისანი გზები და ზო-
დები ექნეს. ბ. ნ. ი. თვალაქაშე ჯერ ახალ-
გაზდა კაციადა მისი უზესიურელი ბევრს
კარგ რასმე უქაშის ჩვენს მხარეს. ვუსუ-
რებთმისი კეთილი მიზნის განხორციელე-
ბას.
Pater loci.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორი!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშე-
ლენით გამოვიწვიო სამედიკატო საზო-
გადოებას ანდრია გაბუნია, რომელიც
ცილს მწამებს და საზოგადოებაში ხმას
ავრცელებს, ვითომ მე მას ვატყუებდი
და ფულს ვართმევდი. „ჩემი“ შერ-
ხარ და გული მოგიკალიო—სწორეთ
ეს არის. პასუხისთვის ვაძლეე ერთ კე-
რას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.
ჩემს მედიკატორებსაც მაშინ გამოვაცხა-
დებ. განჩინება გაზეთში უნდა გამო-
ცხადდეს, რომ საზოგადოებამ დაინახოს
ვინ ვის ატყუებს.

ნიკიფორე ბოლქვაძე.

ქართველთა შორის წერა-კითხ. საზოგ.
ქუთაისის განყოფილ. წევრებათ 1913

წ. ჩემწერა შემდეგი პირები:

1. მიხეილ ქორაშვილი,
2. ელდარეზ წერეთელი,
3. ქ. ნ. ჰუბი წერეთლისა,
4. თ. ირაკლი წერეთელი,
5. ნიკოლოზ ლოლაძე,
6. ვასილ ამაშუკელი,
7. ანა მარჯანიშვილის ასული,
8. ალექსანდრე შოთაძე,
9. ლუკა ლოლაძე,
10. ალექსი სვანიძე,
11. სიმონ ხურცილავა,
12. მარიამ კოსტანოვისა,

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საუმაწვილო სურათებიან

წაფაწაფა „ნ ა კ ა დ ე ლ ი ა“ წაფაწაფა

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლი იანვრამდე).

თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან

№ 2, ეურნალი გამოვა, იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამომდიდა:

მიტერ წლოვან- 24 წიგნი, მოზღდი- 12 წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ეურნალიშიც მოთხოვრებები

და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

სინქრათ ორივე გამოცემის წაფრ ხელის მოწერაგებს მიეცემა წიგნი:

„მიწის ძერა და ცეცხლის მფრქველი მთები“,

(პირდავლი სურათით), გოგორც ანთქადისა.

ფასი ეურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ.,
საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მ., მცირე წლოვანთათვის (კალკე
3 მ.; მოზღდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი
წლით. ხელის-მოწერა შეიძლება:

თფილ-სო: „ნ ა კ ა დ ე ლ ი ა“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის
პროსპექტი, № 8, Редакция „Накадули“, Головинский просп. № 8,
და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისილო-
რე კვიციარძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, სმრტრედაში—
ვლ. ნაცვლიძესთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათუმში—ქნ. სოფიო
ნაკაშვილთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. აზერბეიჯანში და
აზნხუთში—ლეო იმანაძესთან. თედაში—ვანო პატაშვილთან, ასფიგანში—კო-
სტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელოშვილთან და
ივანე ელიაშვილთან, გორში—ნინო ლომაშვილთან და ქეთევან ჯავახიშვილთან,
სოხუში—ქნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჯაითურაში—ივანე გომელაურთან, კახუში—
ბ. ამბოქაძესთან, ერევანში—კ. ოდიშარიასთან, ყარსში—კ. საათაშვილთან; აფგ-
სანდრეზაში—ს. შატერაშვილთან, რესტოში—მ. კლიმიაშვილთან, სოხში—
მ. ი. კავკაზიძესთან.

ესთხოვთ ხელის მოწერაგებს, ადრესი გაწვევით დასწერონ, თუ ეურნალი არ
მისდის, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყუბონ ბი-
ნის გამოცემა.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშვიდი, გამომც. თ. დ. პ. თუმანიშვილი.

როგორც ვიცით, გასულ წელს აბრეშუმის თესლი ბაზარზე საზოგადოთ ნაკლები
იყო. წელსაც, როგორც სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, თესლი შარშანდღეზე
კიდევ უფრო ნაკლებია. შარშან ბევრმა ჩვენმა მყიდველმა გვისაყუდურა, თუ
რატომ არ გავაგებოთ, ან თესლი არ შევუნახეთ. ამიტომ ყველა

პ ა ს ხ ა ლ ი დ ი ს აბრეშუმის თესლის

მყიდველთა საყურადღებოთ ამით ვაცხადებთ, რომ მათ თესლი ამთავითვე დიბი-
ვონ, ვინაიდან თესლი დაუბეველათ არავის შეენახება და, მაშასადამე, ბოლოს
საყვედურით უაღვილო იქნება.

წყება ადრესა: ბათუმი, მარინსკი პროსპექტი, საქუთარი სახლი 10.—ერთადერთი
წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლის ბათუმის, ქუთაისისა და თფი-
ლისის გუბერნიებში შოკე გაბაყაძის ძე რუსაძე.

13. ლუკა ქუთათელაძე,
14. ტიხონ ასათიანი,
15. სოფიო აბაშიძისა,
16. თაგ. ვახტანგ გურგენი,
17. იუნონა დადიანისა,
18. ქნ. თ. თაფლიკიძის ასული,
19. ქ. ოლა გიგინეიშვილის ასული,
20. დიმიტრი გიგინეიშვილი,
21. ალექსანდრე გიგინეიშვილი,
22. ლასა სარჯვალაძე,
23. სიმონ ლოლაშვილი,
24. ანტონ ოდიშარია,
25. სპირდონ ჯორჯიკია,
26. მასწ. დარჩია,
27. მარიამ ბუტულაშვილის ასული,
28. მარიამ ყაუხჩიშვილის ასული,
29. ეკატერინე ანთ ძის ასული,
30. სოფიო ბუტულაშვილის ასული,
31. ნინო აბაშიძის ასული,
32. ენრიკა ოქროშვილიშვილის ასუ-
ლი,
33. მიტრალირა გრიგოლაშვილის ასუ-
ლი,
34. ელენე მეფისაშვილის ასული,
35. ქრისტინე შარაშიძის ასული,
36. ალათი იოსელიანის ასული,
37. მარიამ ლოლაშვილის ასული,
38. ტარასი მამალაძე.

გამგვობამ მიიღო უკვე რამდენიმე სა-
კვიტაციო წიგნაქი 1913 წლისათვის
შემდეგი აგენტებისაგან:

ქნ. თეოდოსი თაფლიკიძის ასულისაგან
ქ. ქ. ნინო ჯორჯიკიას მეუღლისაგან,
მარიამ გოკიელის მეუღლისაგან, მარი-
ამ ყაუხჩიშვილის ასულისაგან, ალექ-
სანდრა ასათიანის მეუღლისაგან და ბ.
ელდარეზ წერეთლისაგან, ვუძღვნით
უღრმეს მადლობას ზემო აღნიშნულ
პირთ და ესთხოვთ დანარჩენ აგენტებსაც
დააბრუნონ წიგნაქები იანვრის დამლე-
ვამდე.

გამგვობა.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგვაძე.

გეოგრაფიკული სელისმოწერა

„სასოფლო გაზეთი“

24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის.

წლიური ფასი 4 მან.
ნახევარი წლის 2 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ორგანო:
2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთი პირველ მაისისათვის.

მთელი წლის ხელისმოწერით გავგზავნებთ საჩუქრათ ბოსტნეულობის
საკვები ბალახის თესლები და წიგნაქები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаись С. Х. Шко-
ла, Александру Давидовичу Шарашидзе.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მებუთი)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიდა გვარამბათ

სურათებიან და მამაძე

1914 წლ. ხელის მოწერანი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდის მიიღებენ

პრემიით: პირველი წიგნი: ქართული მწერლები: 1. უკვანგვანო შუგუ „ისტორი-
დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მამკადა შარაშვილი“ ისტ. რომ ვ.
ბარნავიას მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილე-
რისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის
მწერლებისა შესმე წაგნი „სამეცნიერო კრებული“. ორიგინალური და ნათარგმნი
წერილები.

გ ა ზ ი თ ი ს ო ა ნ ი

თფილისში და მის ზარეც.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
88.10%	8 მ.	78.10%	68.15%	6 მ.	58.5%	48.10%	38.15%	3 მ.	28.5%	18.10%	15%

საზღვარ გარეთ.

158.—, 138.15%, 128.10%, 118.5%, 108.—, 98.15%, 78.10%, 68.5%, 58.—, 48.15%, 28.10%, 18.5%.

ცაყვე ნომერი უკვანგვანო შუგუთ; დამატებაში შეიძლება გაყუთ.

თებერვლის უკვანგვანო რიცხვებში ადესელსტუდენტთა ინციატაციით

გამოვა ქართული ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებული

„უცხოვრება და მეცნიერება“

რომელშიც მონაწილეობას მიღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერ-
სიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან
გადაიღება ადესის-ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

ზრ.—დოც. ს. ავალიანი. დროებით გადგეგმუ კვლათა სკოთის. ორდინატორი ნერ-
ვულ კლინიკისა აქამდე ს. ვიუშაძე; საუბარო ტუანის ფუნქციონირ. შრომებტორი
ანატომიურ თეატრისა აქამდე ნ. კახიანი; ნორმალურ ანატომიის შესაგადო (უფრედო და
ქსოვილი). ორდინატორი ვენეროლუ კოთუარზე აქამდე მ. ტეგვაძე; ადამიანის სქესო-
ბრივი ცსოვრება. სტუდენტო მ. ჭავჭავაძე; ანათომი. სტ. ქ. რაჭველაშვილი. საუბ-
რი ხელაქების შესახებ. სტ. ს. ასფიგაშვილი. სამეც-საათამგოს სიძუქდანი. სტ. ნ.
კარბელაშვილი. ასფიგაშვილი (მოთხ. სტუდ. ცსოვრ.) სტ. ჯ. გვარდია. ბავშვის ანატომი-
სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში ქ. ოცხელის და ა. მ. წიგნის მაღაზიაში ალექ-
სანდრეს ქუჩა. ზ. კოკიაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ელირება ერთი
მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

გ. გოგორცისა და ს. შიკიშვილის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქში
უმაღლესი სასახლის გოგორცისტრის, აურო სტუდენტს ბის ნეგა-მადგევის ბეჭდის მნი-
ბის ჭარხისა, მაქციეთ განსაკუთრებული უფრადება მინის უფრე ნაშნის „БЕМСКОЕ“
ჩაქინულობის მაღაზიაში იქიღება:

საუკეთესო წაქ

ქარხნებისგან

მიღებული ჩაქინული

საქონელი: კარის, ფანჯრის

და ღუმელის მოწყობილობანი;

საღვრელო ხელსაწყობი, ფანჯრის

მინები, რკინის ნიბებები, ლურსმანი, მავ-

თული, ყოველგვარი საღებავი წამალი,

ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,

ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათა და წვრილობა ხელმისაწვდომ ფასით.

ქ. ქუთაისში: საჭაარა შენახაში, მხეხადის ქუჩაზე № 65

ბ ი ლ ი თ ი ს ო ა ნ ი

ქუთაისიდან მიდის

თფილისი:	სახალხო	ლილის	10 საათ.	6 წ.	თფილისიდან:	სახალ.	ლილ.	7 საათ.	—
ფანჯრის	ლილის	11 საათ.	55 წ.	ფანჯრის	ლილის	6 საათ.	55 წ.	ფანჯრის	ლილის
სახალხო	ლილის	11 საათ.	27 წ.	სახალხო	ლილის	1 საათ.	28 წ.	სახალხო	ლილის
ათო მ. ხ.	სახალხო	ლილის	5 საათ.	10 წ.	ათო მ. ხ.	სახალხო	ლილის	11 საათ.	14 წ.
სახალხო	ლილის	11 საათ.	27 წ.	სახალხო	ლილის	1 საათ.	27 წ.	სახალხო	ლილის
ფანჯრის	ლილის	5 საათ.	21 წ.	ფანჯრის	ლილის	10 საათ.	3 წ.	ფანჯრის	ლილის
საგარეო	ლილის	4 საათ.	22 წ.	საგარეო	ლილის	1 საათ.	20 წ.	საგარეო	ლილის
სახალხო	ლილის	5 საათ.	10 წ.	სახალხო	ლილის	1 საათ.	26 წ.	სახალხო	ლილის
ფანჯრის	ლილის	5 საათ.	21 წ.	ფანჯრის	ლილის	9 საათ.	31 წ.	ფანჯრის	ლილის
ფანჯრის	ლილის	4 საათ.	57 წ.	ფანჯრის	ლილის	—	5 საათ.	11 წ.	ფანჯრის
ფანჯრის	ლილის	7 საათ.	50 წ.	ფანჯრის	ლილის	—	5 საათ.	11 წ.	ფანჯრის

ბ ი ლ ი თ ი ს ო ა ნ ი